

ფინანსური ანგარიშგება

შპს „ჯეორენტი“

(ს/კ 404883729)

30 სექტემბერი 2024

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	6

.....
/დირექტორი/





.....
/მთავარი ბუღალტერი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


	შენ.	31-12-23	31-12-22	31-12-21
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	8,274,968	6,768,206	4,913,673
არამატერიალური აქტივები		4,350	5,623	7,160
გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარ.	6	180,390	163,390	163,390
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6	79,352	86,862	115,246
		8,539,060	7,024,081	5,199,469
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგი	7	1,689,956	1,203,497	546,381
გადახდილი ავანსები		100,606	227,462	42,025
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,267,703	1,324,016	856,997
ფული და ფულის ექვივალენტები	9	482,602	362,452	66,620
სხვა მიმდინარე აქტივები		60,099	76,163	27,116
		3,600,966	3,193,590	1,539,139
სულ აქტივები		12,140,026	10,217,671	6,738,608
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		100,000	100,000	100,000
გაუნაწილებელი მოგება		6,584,720	5,917,250	4,285,806
გადაფასების რეზერვი		775,533	775,533	775,533
		7,460,253	6,792,783	5,161,339
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები და ლიზინგები	10	4,188,503	2,514,453	1,034,879
		4,188,503	2,514,453	1,034,879
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახადები		84,986	469,093	381,005
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	406,284	441,342	161,385
		491,270	910,435	542,390
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		12,140,026	10,217,671	6,738,608


 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/


სრული შემოსავლის ანგარიშგება				
<u>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>				
	შენ.	2023		2022
შემოსავალი	12	5,798,153		5,528,673
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(810,585)		(884,576)
საერთო მოგება		4,987,568		4,644,097
სხვა შემოსავალი		0		0
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	13	(1,572,937)		(1,354,539)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(1,195,459)		(733,573)
ცვეთა და ამორტიზაცია		(759,037)		(630,350)
საოპერაციო მოგება		1,460,135		1,925,635
საპროცენტო შემოსავალი (ხარჯები)		(267,418)		(124,377)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)		(147,639)		150,150
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(107,793)		23,689
მოგება (ზარალი) დაბეგვრამდე		937,285		1,975,097
მოგების გადასახადის ხარჯი				
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		937,285		1,975,097


 ----- /დირექტორი/


 ----- /მთავარი ბუღალტერი/

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	რეზერვები	გაუნაწილებელი მოგება	საკუთარი კაპიტალი
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	775,533	4,285,806	5,161,339
ზრდა (+)	-	1,975,097	1,975,097
შემცირება (-)	-	(343,653)	(343,653)
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	775,533	5,917,250	6,792,783
ზრდა (+)	0	937,285	937,285
შემცირება (-)	0	(269,815)	(269,815)
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	775,533	6,584,720	7,460,253

ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	2023		2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,462,973		1,389,422
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,662,742)		(2,330,992)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	1,393,318		1,293,698
ცვლილება ფულისა და ფულის ექვივალენტებში	193,549		352,128
სავალუტო კურსის ეფექტი	(73,399)		(56,296)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	362,452		66,620
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	482,602		362,452


 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეორენტი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 10 იანვარს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404883729.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მანქანების და მოწყობილობების იჯარას. შპს „ჯეორენტი“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 20-მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: გენერატორები, კონტეინერები, დროებითი ღობეები, სანათი კოშკები, სამშენებლო ლიფტები, ამწე კალათები, შედუღების აპარატები, საწვავის რეზერვუარები, გამათბობლები, ნესტის შემწოვი აპარატები, არმატურის მოსაღუნი აპარატები, არხის პანელები. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად შემდეგი ქვეყნებიდან: საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი, ინგლისი, პოლონეთი, კორეა, ჰოლანდია.

კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნდა ოთხი ფილიალი-საწყობი, ქ. თბილისში, კერძოდ, ანდრონიკაშვილის ქ. N149-ში, ლილოში, ლისის დასახლებასა და შინდისში ერთი ფილიალი-საწყობი ქ. ბათუმში.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, ელფეთერ ანდრონიკაშვილის ქუჩა, N 149

2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- როინ გიგიბერია, პ/ნ 01002001029 - 50%;
- ზაზა კუხალიშვილი, პ/ნ 42001004221 - 33%;
- არნე კუკინი (ესტონეთი), პ/ნ 37503112729 - 17%.

კომპანიის დირექტორია არნე კუკინი და როინ გიგიბერია. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 100,000 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 32 ადამიანი.


2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორებს უფლება აქვთ წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომაც.


-----/დირექტორი/


-----/მთავარი ბუღალტერი/

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინები და განმარტებები

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.


აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.


ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.


_____/დირექტორი/


_____/მთავარი ბუღალტერი/

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები**ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

_____/დირექტორი/

_____/მთავარი ბუღალტერი/

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის, ისე რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებს.


ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით, საწყობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაბეგვრა

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

_____/დირექტორი/

_____/მთავარი ბუღალტერი/

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს: გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით), კანონმდებლობიდან ან სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.


----- /დირექტორი/


----- /მთავარი ბუღალტერი/

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა აღნიშნული თანხა არ არის არსებითი.

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.


2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.


/დირექტორი/


/მთავარი ბუღალტერი/

5. ძირითადი საშუალებები

შოუა	შეზღოვებული ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აქტუარიული კონსტრუქციები	გეოლოგიური და სხვა საშუალებები	სატრანსპორტო საშუალებები ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2022	1,509,394	4,737,876	156,795	37,517	444,698	6,969,323
შეზღოვდა	1,048,318	1,256,016	176,180	15,483	73,500	2,569,497
გასვლა	0	(87,496)	(9,160)	(4,664)	(84,384)	(185,704)
ისტორიული ღირებულება 31.12.2022	2,557,712	5,906,396	323,815	48,336	433,815	9,353,115
ისტორიული ღირებულება 01.01.2023	2,557,712	5,906,396	323,815	48,336	433,815	9,353,115
შეზღოვდა	947,775	1,778,936	15,206	2,164	38,045	2,782,127
გასვლა	0	(816,793)	(17,702)	(9,729)	(40,432)	(884,655)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	3,505,487	6,868,538	321,319	40,772	431,428	11,250,586
ცვლილება						
დაგროვილი ცვლილება 01.01.2022	0	1,834,826	62,236	20,968	129,551	2,055,650
გასული ძირითადი საშუალებების ცვლილება	0	(50,742)	(8,939)	(4,370)	(35,502)	(99,553)
ცვლილება	0	4,152	21,068	7,094	43,358	628,812
დაგროვილი ცვლილება 31.12.2022	0	2,337,224	74,364	23,692	137,407	2,584,909
დაგროვილი ცვლილება 01.01.2023	0	2,337,224	74,364	23,692	137,407	2,584,909
გასული ძირითადი საშუალებების ცვლილება	0	(319,454)	(14,808)	(7,860)	(24,933)	(367,055)
ცვლილება	0	4,152	32,662	8,585	42,688	757,764
დაგროვილი ცვლილება 31.12.2023	0	2,687,446	92,218	24,418	155,163	2,975,618
საბალანსო ღირებულება 31.12.2022	2,557,712	3,569,172	249,451	24,644	296,408	6,768,206
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	3,505,487	4,181,092	229,101	16,354	276,265	8,274,968

Handwritten signature

/დირექტორი/

/მთავარი ბუღალტერი/




6. გრძელვადიანი ინვესტიციები სხვა საწარმოებში და სხვა გრძელვადიანი აქტივები			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
სესხი - HYDROSCAND LLC, Armenia	77,655	75,283	91,454
მონაწილეობა შპს ჰიდროსკანდ-ში	154,545	154,545	154,545
მონაწილეობა HYDROSCAND LLC, Armenia-ში	8,845	8,845	8,845
მონაწილეობა შპს ჰიდრო სერვის ჯორჯიაში	17,000	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	1,697	11,579	23,792
სულ გრ. ინვ. სხვ. საწ. და სხვ. აქტივები	259,742	250,252	278,636

7. მარაგები			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
მზა პროდუქცია	805,319	1,017,617	348,661
სხვა მარაგი	884,637	185,880	197,720
სულ მარაგები	1,689,956	1,203,497	546,381

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან	1,267,703	1,324,016	856,997
გადახდილი ავანსები	100,606	227,462	42,025
სხვა მოთხოვნები	60,099	76,163	27,116
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,428,408	1,627,641	926,138

9. ფული და ფულის ექვივალენტები			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
ნაღდი ფული სალაროში	12,316	41,294	17,628
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	470,286	321,158	48,992
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	482,602	362,452	66,620



 _____ /დირექტორი/



 _____ /მთავარი ბუღალტერი/

10. მიღებული სესხები და ლიზინგები (ფინანსური იჯარა)			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
ბანკის სესხები	4,177,646	2,438,768	879,134
ლიზინგები (ფინანსური იჯარა)	10,857	75,685	155,745
სულ სესხები და ლიზინგები	4,188,503	2,514,453	1,034,879

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>	<u>2021.12.31</u>
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	406,284	441,342	161,385
გადახდილი ხელფასები	0	0	0
მიღებული ავანსები	35,136	407,941	67,490
სხვა ვალდებულებები	49,850	61,152	313,515
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	491,270	910,435	542,390

12. შემოსავალი		
	<u>2023</u>	<u>2022</u>
შემოსავალი რეალიზაციიდან	930,425	1,081,160
შემოსავალი მომსახურებიდან	4,867,728	4,447,513
სულ შემოსავალი	5,798,153	5,528,673



 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/

13. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები		
	<u>2023</u>	<u>2022</u>
იჯარით გაცემული ტექნიკის მომსახურე პერსონალის ხარჯი	506,370	179,608
იჯარით გაცემული ტექნიკის საექსპლუატაციო ხარჯი	428,909	343,189
იჯარით გაცემული ტექნიკის ტრანსპორტირების ხარჯი	400,889	224,175
სხვა გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	236,769	607,567
სულ გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	1,572,937	1,354,539

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	<u>2023</u>	<u>2022</u>
ძრომის ანაზღაურება	682,758	343,060
ოფისის ხარჯი	67,708	29,674
კომუნიკაციის ხარჯი	18,143	15,272
სხვა ხარჯი	426,850	345,567
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,195,459	733,573


 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/